სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს
სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა, ბატონო თეიმურაზ,

მოგახსენებთ, რომ არქიტექტურული პროექტის შეთანხმების მიზნით, ჩემ მიერ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განაცხადის სახით- № AR1755544 წარმოდგენილია ქალაქ თბილისში აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №134-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.13.01.004.156) ორი ერთეული სასაწყობო შენობის დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელიც თქვენს მიერ გადაეგზავნა შინაგან საქმეთა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს.

გაცნობებთ, რომ დაპროექტების დოკუმენტაცია თქვენ მიერ არასწორად იქნა გადაგზავნილი, ვინაიდან საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობების ფუნქციონალური დანიშნულება და ფართობი არ განეკუთვნება სახელმწიფო სახანძრო ზედამხვედელობას დაქვემდებარებული ობიექტების ნუსხას.

კერძოდ: ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,კ“ ქვეპუნქტის თანახმად, **სახელმწიფო სახანძრო ზედამხვედელობას ექვემდებარება მხოლოდ 1000 მ² და 1000 მ²-ზე მეტი ფართობის მქონე ხანძარსაშიში ნივთიერების, მასალის, პროდუქციისა და ნედლეულის სასაწყობო შენობა-ნაგებობები და სათავსები**.

ჩემ მიერ წარმოდგენილი თითოეული სასაწყობე შენობის ფართობი არ აღემატება 1000 მ²-ს.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია 2016 წლის 28 იანვრის საქართველოს მთავრობის 41-ე დადგენილების - ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვით, თან ახლავს საექსპერტო დასკვნა და პროექტი სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან.

აქედან გამომდინარე, გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და შეითანხმოთ AR1755544 განაცხადით წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

პატივისცემით

შპს „ინტექსი“-ს დირექტორის
მოადგილე ზურაბ ნადირაძე.